ვაკანსიის № 102579

პოზიციის დასახელება	ადმინისტრაციული დეპარტამენტის სტაჟიორი
კონკურსის ტიპი	სტაჟირება
ორგანიზაცია	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
კატეგორია	სამეურნეო
განცხადების ბოლო ვადა	10.09.2026
თანამდებობრივი სარგო	720 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი

ფუნქციები

- ორგანიზაციის მუშაობის სპეციფიკის გაცნობა;
- კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- სამსახურებრივი დოკუმენტაციის გაცნობა და სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებითა და სხვა) სარგებლობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე დაესწრება და მონაწილეობის მიღება;

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	სტუდენტი
პროფესია	ბიზნესის ადმინისტრირება/სამართალი

საკონკურსო თემატიკა

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის □2-67 ბრძანება.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	ძალიან კარგი
Microsoft Office Excel	ძალიან კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	• მარშალ გელოვანის გამზ. □32, 0159 თბილისი.
საკონტაქტო ტელეფონები	• 032 297 41 03, შიდა ნომერი 2020

დამატებითი მოთხოვნები

სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
- იცის სახელმწიფო ენა;
- სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მეორე საფეხურზე ან დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების პირველი ან მე-2 საფეხური 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში;

- შერჩევის მნიშვნელოვან კრიტერიუმად განისაზღვროს სტაჟირების მსურველი პირის აკადემიური მოსწრება (ქულათა სისტემა – 71-100 ქულის მაჩვენებელი ან/და GPA 2.7-4.0);

დამატებითი ინფორმაცია

ანაზღაურებადი სტაჟირების ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს

სტაჟირების მსურველმა პირმა უნდა vacancy.hr.gov.ge-ს ელექტრონული რეზიუმეს შესაბამის ველებში მიუთითოს/ატვირთოს:
1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ინფორმაცია სწავლის საფეხურისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (აუცილებელია, კანდიდატმა vacancy.hr.gov.ge-ის განათლების ველში მიუთითოს: საგანმანათლებლო დაწესებულება, პროფესია და ქულათა საშუალო მაჩვენებელი ან GPA);
3. სამოტივაციო წერილი;
4. ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი, მხოლოდ უცხოენოვანი დიპლომის შემთხვევაში.

კანდიდატს არ ევალება გამოითხოვოს და vacancy.hr.gov.ge-ზე ატვირთოს:
1. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის შესახებ ცნობა;
3. აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ქულათა საშუალო მაჩვენებელი ან/და GPA).
აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვას განახორციელებს შესაბამისი ორგანიზაცია, აპლიკანტის თანხმობის საფუძველზე, აპლიკანტის მიერ მითითებული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

განაცხადის გამოგზავნით კანდიდატი ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება კონკურსის შესახებ შეტყობინებაში მოცემულ მოთხოვნებს, ფუნქციებსა და პირობებს. ასევე, ის თანახმაა, თავის განაცხადში მითითებული პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დამუშავდეს სტაჟიორის შერჩევის მიზნებით და ამასთან, გამოთქვამს თანხმობას ამავე კონკურსის ფარგლებში კანდიდატის შესახებ საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის მოძიების/გადამოწმების/გამოთხოვის თაობაზე.

პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ:
- იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;
- იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;
- მან სტაჟიორად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;
- იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ იმავე საჯარო დაწესებულებაში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს.

– გასაუბრებისას თანაბარი კანდიდატების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ უმაღლესი აკადემიური მოსწრების კანდიდატებს;

მნიშვნელოვანია, რომ იმ საჯარო დაწესებულებაში სტაჟირება, სადაც მუშაობა ითვლება საჯარო სამსახურად, ჩაითვლება საჯარო სამსახურის სტაჟში, ხოლო საჯარო დაწესებულებაში შემავალ საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირში სტაჟირება - საერთო სტაჟში/საშუშაო გამოცდილებაში.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

სტაჟირების მსურველი პირის შეფასებას განახორციელებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შექმნილი კომისია, არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება